ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482302419
თარიღი:24/01/2023

„2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის სოფლის კლუბის შენობის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 იანვრის №ბ48.482302031 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის სოფლის კლუბის შენობის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის **2023 წლის 20 იანვრის №ბ48.482302031** ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*„2. 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის სოფლის კლუბის შენობის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ჯამური ღირებულებიდან - **1 688 235.22** (ერთი მილიონ ექვსასოთხმოცდარვა ათას ორას ოცდათხუთმეტი ლარი და ოცდაორი თეთრი) ლარიდან (დღგ-ს გათვალისწინებით), 1 682 650 ლარი დაფინანსდეს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო 5 585.22 დაფინანსდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი ხარჯებიდან;“*

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის [illegible]

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი